მზია წიკლაური

ხევსურეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

მზია წიკლაური
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ღებვის უძველეს კულტურას, რომელიც დღესაც შემორჩენილია ხევსურეთის სინამდვილეში. დაწვრილებითაა დახასიათებული ქვის ხანის ძეგლები, სადაც გამოქვაბულების კულტურულ ფენებში მიკვლეულია საღებავებისათვის განკუთვნილი მთელი რიგი მოძრავი არტეფაქტები.

აქვეა განხილული ხევსურეთის ბუნებრივი სიმდიდრეები ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ანტრიციტის გამოსავლები და მათი გამოყენების საკითხები (ოქროს მოპოვება და სხვ.). დაწვრილებითაა აღწერილი ორგანული-მცენარეული ასევე ცხოველური და არაორგანული-მინერალური მასალებით ნატურალური საღებავების მიღებისა და მათი მეშვეობით ქსოვილის შეღებვის მამა-პაპეული ჩვევები. აღწერილია ძველი და თანამედროვე ხევსურეთში დღემდე შემორჩენილი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ძეგლები.

საკვანძო სიტყვები: ხევსურეთი, ღებვა, საღებავები, მოძრავი არტეფაქტები.

შესავალი

არაორგანული და ორგანული არტეფაქტების შეღებვის კულტურა ერთ-ერთი უძველესი ხელოვნებაა კაცობრიობის ისტორიაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია არგუმენტირებული მოსაზრება, ზედა პალეოლითიდან მაინც სხვადასხვა ფერის მინერალური საღებავების გამოყენების შესახებ. „სხვა ფერის საღებავები: ღია და მუქი წითელი ფერის რკინის რბილი სურინჯი, მარგანეცის ნატეხები და საღებავის საპრესი ქვები აღმოჩენილია გვარჯილის კლდის, გამოქვაბულში – (ჭიათურის მუნიციპალიტეტი, დასავლეთ საქართველო (1. 195).

ადამიანი საზოგადოების განვითარების უძველესი დროიდან ქსოვილის, ხის, თიხის, ქვისა და სხვა საგნების შეღებვის ტექნოლოგიას დაეუფლა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია XIX საუკუნემდე მღებავები ნატურალურ საღებავებს იყენებდნენ. ეს საღებავები ორგვარი წარმოშობისაა: ორგანული – მცენარეული და ცხოველური, ასევე არაორგანული – მინერალური.

პირიქითა ხევსურეთში, არხოტის თემში მდებარე ჭიმდის კლდის ჩამონაშალში მრავალრიცხოვან ნახევრად ძვირფას ქვებს ვხვდებით (მთის ბროლი, სხვადასხვა ფერის კვარცის ნატეხები და სხვ.).

არ არის გამორიცხული, რომ ამ კარიერიდან აკრეფილ ქვებსაც იყენებდა ადამიანი უძველეს ხანაში. ამიტომ საჭირო ა ამ ტერიტორიების, როგორც არქეოლოგიური ისე გეოლოგიურ კონტექსტში საველე მეცნიერული კვლევა. შესაძლებელია უძველეს ხანაში მისი, როგორც კარიერის დამუშავება ეწარმოებინათ, რაც მომავალმა საფუძვლიანმა კვლევა-ძიებამ უნდა დაადასტუროს.

ხევსურეთის ბუნებრივ სიმდიდრეებზე, ჯერ კიდევ ადრე, XX საუკუნის ოციან წლებში წერდა ალ. ყამარაული „ხევსურეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს – მარმარილოს, ანტრაციტს, ბროლს, ასევე სპილენძს, ვერცხლს და ოქროს მადნებს“ და აღნიშნავდა, რომ ხევსურეთის მიწის წიაღის სიმდიდრე ჯერ სავსებით არ არის შესწავლილი – ზერელე გამოკვლევა გვაძლევს წარ-

მოდგენას მათი სიმრავლისა და სხვადასხვაობის შესახებ (2. 20).

ხევსურეთში ადგილი ჰქონია ოქროს რეწვის ცდებსაც. „ოქროს მოპოვების ერთ-ერთი სერიოზული ცდა 1890 წელს არხოტის თემის სოფ. ახიელში – შავი ზღვის ფლოტის II ეკიპაჟის ლეიტენანტის ნ. ვ. ფილკოვიჩის მოთავეობით დაუწყიათ. რომელმაც სოფ. ახიელის მცხოვრებლებს მოლაპარაკების დროს განუცხადა – რათა მიეცათ მისთვის იჯარით სოფელი კუთვნილი სახნავ-სათესებითა და სათიბებით – რომელსაც თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ – ეს ინფორმაცია ალ. ყამარაულს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციის საფუძველზე მოჰყავს და 1890 წლის 2 ივლისის საზოგადოებრივი ხელშეკრულების საბუთს იმოწმებს“ (2. 22-23). აღსანიშნავია, რომ საბუთს (ხელშეკრულებას) ხელს აწერენ დავით ქიბიშაური და მარაისძე წიკლაური – არხოტის თემის მოსახლეობის წარმომადგენლები“ (2. 29).

საყოველთაოდ ცნობილია ძველი ქართული ფრესკული მხატვრობის ნიმუშების, საუკუნეების მანძილზე შენარჩუნებული ფერთა თავისებურებები, რაც ძველი ქართული საღებავების დამზადების დაწინაურებულ ტექნოლოგიაზე მიუთითებს, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ფერთა შეხამების უმაღლეს ხელოვნებასთან ახლოს დგას ძველი ხევსურული ნაქარგების ფერთა დატანის ტრადიციები, რასაც უდავოდ საუკუნეების წიაღში უნდა ჩაყროდა საფუძველი.

პირიქითა ხევსურეთში და საერთოდ, ხევსურეთში მცენარეებს იყენებდნენ არა მარტო საკვებად და სამკურნალოდ, ასევე სამღებროდაც. ბევრი დაწერილა ხევსურული სამოსელის თავისებურებებზე; შეკერილობისა თუ ფერთა შეხამებაზე, რაშიც ძირითადად გამოიყენებოდა ადგილობრივი საღებავები, რომელთაც ამა თუ იმ მცენარის საშუალებით ღებულობდნენ. მათ დამუშავება-გამოყენება-გამოყვანაში კარგად იყვნენ დაოსტატებული ხევსური ქალები.

როგორც ადგილობრივი მთხრობელები გვიამბობენ, არხოტში სამოსის ფერი და ნაქარგობაც განსხვავებული ყოფილა. თუ პირაქეთ ხევსურეთში უფრო მუქი ფერები სჭარბობდა (შავი, მუქი ლურჯი, მუქი აგურისფერი), არხოტში ღია ფერებს ანიჭებდნენ უპირატესობას. ნაცრის ფერი, თეთრი, ყვითელი, და ა. შ. მეტწილად მაინც ვერცხლის ფერს ირჩევდნენ (4).

ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ არხოტის, საერთოდ, ხევსურეთის ბუნების, კლდოვან-მთიანი ლანდშაფტის თავისებურებებიდან გამომდინარე, ხევსურთა სამოსელიც ასე განსხვავებულ, თავისებურ იერსახეს ატარებდა, თავისი ფერთა თუ ნაქარგობათა წყობით. აქ ნახავთ მთის ყვავილებისა და ბალახის იშვიათ ფერებს, გამოყვანილს ნაქსოვებში თუ ნაქარგებში, რომელიც მხოლოდ ალპურ ზონაში გვხვდება, ამ ფერთა მიღების საიდუმლო მხოლოდ მთაშია (ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში) შემორჩენილი და ისიც მივიწყების პირასაა, რადგან დღეს აღარავის აინტერესებს ბუნებრივი, ღვთისგან ბოძებული ფერთა ნაირსახეობა, ეს კიდევ ცალკე განხილვის საგანია, აქ ზოგადად მოვიყვანთ მცენარეებსა და მათი გამოყენების, ფერთა მიღების საიდუმლოებას.

სულხან-საბა ორბელიანი მცენარეულ საღებავებს შორის ასახელებს ხევსურულ ლილას [1, 18].

ლილა - ასე იხსენიებენ ხევსურებიც საღებავს, რომელიც ბარიდან გოროხების (გუნდების) სახით ამოჰქონდათ მთაში.

თითქმის ყველა ოჯახში ინახებოდა სპეციალური სატუტე კოდი, რომელიც ჭირდებოდათ ტანსაცმლის დასამზადებლად.[1]

1 ლილას გოროხები – ქვამარილის მსგავსი, რომელიც ბარიდან ამოჰქონდათ ხევსურეთში. ლილას გოროხებს დაასხამდნენ ცივ წყალს, არც აცხელებდნენ, არც ადუღებდნენ, ბუნებრივად დნებოდა წყალში, რამდენიმე დღე სჭირდებოდა მის გადნობა-გახსნას. ასე იქმნებოდა ტუტა-საღებავი, რომელშიც იღებებოდა ქსოვილი. სასურველი ფერის მიღებას სხვადასხვა დრო სჭირდებოდა: მაგ., მუქი ლურჯი რომ მიეღოთ შეიძლება ერთი თვეც გაეჩერებინათ ქსოვილი ამ საღებავიან წყალში (ტუტაში), შესაბამისად ღია ცისფერი თუ უნდოდათ რამოდენიმე დღე გააჩერებდნენ და ა. შ. ტუტაში შეღებილი ქსოვილი ისე ცვდებოდა, ფერს არ იცვლიდა წლების განმავლობაში.

სატუტე კოდი – სპილენძის ჭურჭელია კასრის მსგავსი. შიგ ჩაასხამდნენ წყალს და ჩაჰკიდებდნენ ტოპრაკით ლილას გოროხებს. როგორც აღვნიშნეთ, ბარში, სავაჭროდ ჩასული ხევსურები სხვადასხვა საჭირო ნივთებს ყიდულობდნენ“, მათ შორის ლილას გოროხებს დიდი რაოდენობით (4).

სატუტე კოდში ჩაკიდებულ ლილას ტოპრაკს გააჩერებდნენ სამ-ოთხ კვირას, ხან მეტ ხანსაც. თვითონ, გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭირო ფერის მიღებისას, ამოიღებდნენ ლილიან ტოპრაკს და ჩადებდნენ შიგ ტოლს შესაღებავად. ტოლი ამ საღებავით მუქ ლურჯად, შავში გარდამავალ ლურჯად იღებებოდა. ტოლი (ქსოვილი) შემდეგნაირად იქმნებოდა: მატყლისაგან ძალიან წმინდა ძაფს ახვევდნენ, რომელიც ყდაზე (ყდა – ხევსურულად ხისგან დამზადებული სპეციალური დაზგაა) იქსოვებოდა ხევსურული ტალავარის, ანუ მამაკაცისა და ქალის შესამოსელის შესაკერავად. მამაკაცისათვის იკერებოდა „პერანგი“ და „გალიფე შარვალი, „ქალ-დიაცებისათვის“ – „სადიაცო“ – შესამოსელი.

სამღებროდ იყენებდნენ ასევე მურყანს.

„მურყნობად მივდითავ“ – იცოდნენ თქმა ქალებმა. მურყანი ხე მცენარეა, მას გარეკანს აცლიდნენ, რომელსაც შავი საღებავის მოსამზადებლად იყენებდნენ.

თავშავა – მცენარეა, ღებავს მოწაბლისფრო – მოშავო- მუქი ყავისფერი.

კრაზანა – ცეცხლისფერი წითელიაო ამბობს მთხრობელი (4), ე.ი. ღებვისას ქსოვილი სავარაუდოდ აგურისფერს ღებულობდა.

კლდის ჟანგი – კლდეს რომ გადაეკვრება მოყავისფროდ, თითქოს სოკოებივით, კლდეზეა გამხმარი სახით, ღებავდა თაფლისფრად, ჩალის ფრად.

კლდის ხავსი – ჩვეულებრივი ხავსისაგნ განსხვავებულია, წყალში დუღილის შემდეგ ჭაობის ფერს იღებს.

„ერთ-ერთ ხალხურ საშუალებად მიჩნეულია შეღებილი ძაფის ორთქლზე გაციება“ (3. 60).

სასურველია, რომ შეღებილი ძაფის ფერი გამძლე იყოს და დიდხანს შეინარჩუნოს თავდაპირველი იერსახე, რადგან ტანსაცმლის მოქარგვისა და ფარდაგის ქსოვისას, ფერები ერთმანეთს უნდა მიესადაგოს. რაც უფრო ხარისხიანადაა დაყენებული საღებავი, ნაქარგობის ნიმუშიც თავისთავად ხარისხიანია, ამიტომაა რომ ძველი „ნაქსოვ-ნაკერი“ ტალავარი (ტანსაცმელი) თუ სხვა საოჯახო ქსოვილები დღესაც არა ნაკლებ მოთხოვნადია.

უნდა აღინიშნოს, რომ ზაფხულის მცხუნვარე მზეზე გამშრალი შეღებილი ძაფი დიდხანს ინარჩუნებდა ფერს – „პირველად ხარისხს“ – რასაც ხევსური მთხრობელებიც ადასტურებენ (4).

ხევსურეთში ამა თუ იმ მცენარისაგან საღებავის დაყენება შემდეგი წესით ხდებოდა: წყალში ყრიდნენ ბალახს (თვალის ზომით), გამოცდილებიდან გამომდინარე ადუღებდნენ ოცი-ოცდახუთი წუთის განმავლობაში, მიღებულ საღებავში მოათავსებდნენ ძაფებს ან ტოლს (ქსოვილს), რაც სჭირდებოდათ. ღება-

ვდნენ და ქმნიდნენ გასაოცარ ფერებს, რომელნიც ვერცხლის ფულებითა და შიბებით იყო დამშვენებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ბუნებრივი მცენარეული საღებავებით საცდელი ღებვა, რომელიც ღებვისათვის შემუშავებული პირობების ყოველგვარი ნორმების დაცვით (ტემპერატურა, საღებავი ექსტრაქტის დამზადების დოზები, ხარშვის ხანგრძლივობა და ა. შ.) მიმდინარეობს, არ იძლევა შესაბამის ტონს, რასაც ღებვის ხალხური წესების დროს აღწევენ, ე. ი. სამეურნეო საქმიანობის ამ დარგში შემუშავებული ტრადიცია რთული და ხანგრძლივი ემპირიული ცოდნის საფუძველზეა აღმოცენებული (1. 197).

ზევით ითქვა, რომ ღებვისას ძველად და ახლაც იყენებდნენ და იყენებენ სპილენძის ჭურჭელს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად XXI საუკუნისა და თანამედროვე ოჯახებში შემორჩენილი აქვთ მოძრავი არტეფაქტები, მათ შორის უნიკალური სპილენძის ჭურჭელი, რომელიც უნდა დათარიღდეს XVIII-XIX საუკუნეებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვადასხვა საქმიანობისათვის მაქსიმალურად გამოყენებად ჭურჭლად მიიჩნევა არა მარტო სამღებროდ, არამედ (ცალკე ჭურჭელი) საკვების მოსამზადებლადაც – სპილენძის ჭურჭელი მნიშნელოვანია. მაგალითად, სპილენძის ქვაბი ხინკლის მოსახარშად, რადგან იგი განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება. ასე რომ ძველ ნივთებს პირიქითა ხევსურეთში და, საერთოდ, ხევსურები არა მარტო ტრადიციულად პატივისცემით ეპყრობიან, არამედ ყოფა-ცხოვრებაში სამეურნეო (სამზარეულო) დანიშნულებისამებრ იყენებენ.

„არქეოლოგიური გათხრების შედეგად „ხახმატის (ბუდე ხევსურეთის ერთ-ერთი სოფელი) გორიყანის 5 სამარხში ჯაჭვის ჩაბალახის ფრაგმენტების აღმოჩენამ დაასაბუთა ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება – ძველად ხევსურეთში „ჯაჭვის ქსოვის ტრადიციის არსებობის შესახებ. (6. 83)

უნდა აღინიშნოს, რომ სამღებრო კულტურას და ადილობრივ მცენარეთა დანიშნულებას ხევსურთა ყოფაში სიღრმისეულ საწყისებთან მივყავართ.

მცენარეული ნაყოფის შეგროვება, სამკურნალო და სამღებრო კულტურა, მცენარე როგორც საკვები, დღესაც საკმაოდ აქტუალურია ხევსურეთში და არა მარტო ხევსურეთში.

ღებვის კულტურას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ჩვენს წარსულში და მისი შესწავლა კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს ხევსურეთის მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლების მნიშვნელობას საქართველოს წარსულის სრულყოფილ გააზრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967;
2. ალ. ყამარაული, ხევსურეთი, თბ., 1932;
3. ნან. აზიკური, მატყლის ღებვის ტრადიცია თუშეთში, თბ., 1999;
4. მთქმელები– ნათელა არაბული სოფ. ხადუდან. 88 წლის, მცხოვრები სოფ. არხილოსკალოში, დედოფლისწყარო/ნ. ცისკარაული, 82 წლის, ს. ბარისახო, 2004;
5. გ. რჩეულიშვილი, ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1990.

Cultural Heritage Monuments of Khevsureti

Mzia Tsiklauri
PhD student GTu

Summary

The Thesis is dedicated to an ancient culture of painting, which still remains in modern Khevsurian reality. Stone Age monuments are described in detail, where a set of mobile artifacts for painting have been found in the cultural layers of caves.

Also hereby described are the natural resources of Khevsureti, such as gold, silver, copper, anthracite, and the issues of their use (gold mining and so on). Ancient traditions of producing organic (herbal and animal derivatives) and non-organic (mineral) paints and using them for fabric painting are also in characterized in detail. The still standing ethnographic and archeological monuments of old and modern Khevsureti are recounted.

Key words: Khevsureti, painting, paints, mobile artifacts.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მეორე-მესამე ნომრის დამატება)

ლექციების კურსი